

რისკების მართვის სისტემა კომერციულ ბანკებში

ირმა კვეტენაძე
სტუდენტორანტი

საბანკო რისკები ეკუთვნიან ეკონომიკური რისკების სისტემას, ამიტომ თავისი ბუნებით წარმოადგენენ რთულ რისკებს. სისტემაში ყოფნა გულისხმობს, რომ ისინი განიცდიან სხვა ეკონომიკური რისკების გავლენას, თუმცა ამავე დროს წარმოადგენენ სპეციფიკურ, დამოუკიდებელ რისკებს.

საბანკო რისკის ცნება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გაჩნდა ბოლო წლებში, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად.

საბანკო რისკის განსაზღვრის საკითხი საკამათოა. ავტორთა ერთი ჯგუფი არაა თანახმა საბანკო რისკი განისაზღვროს როგორც ბანკის შესაძლო დანაკარგები და მას განიხილავს როგორც ინფორმაციული განუსაზღვრელობის პირობებში მიღებულ გადაწყვეტილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე საბანკო რისკის საფუძველია იმ ინფორმაციის განუსაზღვრელობა, რომელსაც ბანკი იყენებს მართვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს. რისკის მიზეზები სხვადასხვაგვარია: ეკონომიკური კრიზისები, საგარეო ვალის ზრდა, ფინანსური ინოვაციები, ინფლაციური პროცესები, ბანკის ხარჯების ზრდა და სხვა.

არსებობს საბანკო რისკების კლასიფიკაციის სხვადასხვა მიდგომები. ერთ—ერთი მათგანის მიხედვით საბანკო რისკების ეკონომიკური კლასიფიკაციის ელემენტებია: კომერციული ბანკის ტიპი და სახე, საბანკო რისკის წარმოშობისა და გავლენის სფერო, ბანკის კლიენტების შემადგენლობა, რისკის გაანგარიშების მეთოდი, საბანკო რისკის ხარისხი, რისკის დროში განაწილება, რისკის გათვალისწინების ხასიათი, საბანკო რისკის რეგულირების შესაძლებლობა, საბანკო რისკის რეგულირების მეთოდები. მეორე მიდგომა საბანკო დაწესებულებების რისკებს ყოფს ორ ნაწილად: ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებად. თავის მხრივ პოლიტიკური და ეკ-

ონომიკური რისკები შეიძლება დაიყოს გარე და შიდა რისკებად. გარე რისკებს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი ბანკის საქმიანობასთან. მათზე მოქმედებს ფაქტორების ძალიან დიდი რაოდენობა — პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, გეოგრაფიული და სხვა. შიდა რისკებს მიეკუთვნება ისეთი რისკები, რომლებიც განპირობებულია ბანკების, მისი კლიენტებისა და მისი კონკრეტული კონტრაგენტების საქმიანობით.

საბანკო რისკების ტრადიციულ სტრუქტურაში გარე და შიდა რისკები იყოფა ორ გჯუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება — ლიკვიდობის, ხოლო მეორეს წარმატების რისკები. ლიკვიდობის რისკებს მიეკუთვნება: პროლონგაციის რისკი, როდესაც ანაბრებს გამოითხოვენ ვადად, ვადის რისკი, როცა კრედიტი არ ბრუნდება ვადაში (საკრედიტო რისკი), ახალი დაუგეგმავი კრედიტების რისკი, რისკები საქმიანობის ახალ სახეებზე: ფაქტორინგული, ლიზინგური, საბაზრო და სხვა. წარმატების რისკებს წარმოადგენენ: დარგობრივი რისკი, ქვეყნის რისკი, საპროცენტო რისკი, სავალუტო რისკი, სხვადასხვა რისკი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბანკო რისკების აღნიშნული კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს ცალკეული რისკისნამდვილი ადგილი საერთო საბანკო რისკების შემადგენლობაში. საბანკო რისკების კლასიფიკაციის აუცილებლობა მდგომარეობს ამა თუ იმ რისკის ანალიზის მეთოდის არჩევაში, მისი დონის შეფასებაში და მთლიანად ბანკის საქმიანობაზე გავლენის ხარისხში.

ახალმა ეკონომიკურმა სისტემამ ბანკებისგან მოითხოვა უფრო ოპერატიული და ამავე დროს უფრო რაციონალური გადაწყვეტილებები, რომლებიც შეესაბამებოდნენ განვითარების ახალ კონკურენტუნარიან სტრატეგიას. ეს, თავის მხრივ, აიძულებს ბანკებს ცვალონ არა მარტო ბიზნესის ფილოსოფია, უმეტესობისათვის ნაჩვევი საკრედიტო ორგანიზაციების „მკაცრად ცენტრალიზებული“ სამართავი მოდელი. წარმოიქმნება უფლებების დელეგირების აუცილებლობა, და არა მარტო გადაწყვეტილებების მიღებისათვის, არამედ ქვეგანყოფილების საქმიანობის მექანიზმების

შეთანხმებაში, მოტივაციისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის.

ამგვარად, წარმატებულად მოქმედი ბანკები უფრო ხშირად აგებენ თავიანთ საქმიანობას ახალი ეკონომიკური ლოგიკის საფუძველზე, რომელიც ადგენს გარკვეულ ურთიერთკავშირს მოზიდული კაპიტალის მწარმოებლურობას, ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობას შორის. ინოვაციური პროცესი ხდება ყველა ხარისხობრივი, რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილების ცენტრი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია მიდის დისკუსიები ინოვაციური საბანკო მენეჯმენტის პრობლემებზე. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსებმა, ინოვაციური პროცესების ძირითად მამოძრავებლად განიხილეს ეკონომიკური სუბიექტების რაციონალურობა, რომელიც ითვალისწინებს მათ მუდმივ მისწრაფებას სარგებლის ამოღებაზე. სწორედ ამ რაციონალურობითაა უზრუნველყოფილი ეკონომიკური სისტემის ევოლუციური განვითარება.

ეკონომიკური კონტრაგენტების ამბიციას მუდმივად ასტიმულირებს ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების გამოჩენა, რომლებიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნას და მოაქვს დამატებითი შემოსავალი.

დღევანდელი დღისათვის რისკ—მენეჯმენტის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსებისათვის, როგორც წესი განსაკუთრებით აქტუალურია შემდეგი ორი ასპექტი: მართვის პროცესი, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით და საბანკო საქმიანობის სფეროში გარემოების შეცვლის შესაბამისად მუდმივი ცვლილებების პროცესი.

ამასთან სპეციალისტები ერთმნიშვნელოვნად იხრებიან იმისკენ, რომ ახალ საინვესტიციო პოლიტიკაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია მისი შესაბამისობა ბანკში არსებულ ყველა სტანდარტთან. სხვა სიტყვებით, ყოველი ფუნქციონალური პროცედურა უნდა ეყრდნობოდეს კარგად გამართულ საოპერაციო მექანიზმს და იყოს ეფექტიანად კონტროლირებადი.

თავის მხრივ კონფლიქტების გადაჭრა ხდება ცალკეულ ქვეგანყოფილებებზე ადმინისტრაციული დანაშაულის გაძლიერების სახით,

რასაც შეუძლია მცირე ხნით გაზარდოს ბანკის შემოსავლიანობა. ქვეგანყოფილებები, რომლებიც მიმართავენ ასეთ ქმედებას, თავის დროებით უყურადღებობას ორმხრივ სასარგებლო კრიტერიუმის შეფასებისას ამართლებენ ფინანსური მართვის ეფექტიანობის საკითხებზე ყურადღების გათვალისწინებით. თუმცა საოპერაციო ეფექტიანობის შენარჩუნების ამგვარ ცდას, როგორც წესი, ბანკის საერთო ლიკვიდობის დაწევამდე მივყავართ.

კლასიკურ საინვესტიციო ლოგიკაზე მიდევნებით საკრედიტო ორგანიზაციების აქტივებში საფინანსო ინსტრუმენტების ამათუ იმ წილის ზრდის ყველა შემთხვევაში საბანკო რისკები შესამჩნევად იზრდება. ასეთ სიტუაციაში ადვილად ასახსნელია ის ფაქტი, რომ ძირითადი საბანკო რისკების ზრდა დაკავშირებულია ბანკების შეზღუდულობაზე. სხვა სიტყვებით, საფონდო ბაზარზე საბანკო ოპერაციების გადამეტებული აქტიურობით გამოწვეული მაღალი საბანკო რისკები და, თავის მხრივ, საბანკო რისკები ცალკეულ ქვეგანყოფილებებში არადამაკმაყოფილებელ საფინანსო შედეგებს იძლევა, რითაც მათ აიძულებს საკასო განსხვავების დაფარვის მიზნით გადაუხვიონ არსებული რეგლამენტიდან.

ამასთან დაკავშირებით რისკების მართვის სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია გარკვეული ზომების გატარება. რისკების მართვის აღნიშნული სისტემა უნდა შეიცავდეს რისკების მონიტორინგის ეფექტიან საინფორმაციო სისტემებს, ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას, რომლითაც აუცილებელი და საკმარისი ინფორმაციები დაყვანილი უნდა იქნას შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებამდე და საკრედიტო ორგანიზაციების მმართველ ორგანოებამდე. რისკების მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს არა მარტო მიღებულ რისკებზე ეფექტიანი დაცვა, არამედ აქტიური გავლენა უნდა მოახდინოს საქმიანობის კონკრეტული მიმართულების განსაზღვრაზე, რომლებსაც ახორციელებს საკრედიტო ორგანიზაციები. რისკების მართვა უნდა ხორციელდებოდეს როგორც ინდივიდუალურ, ასევე კონსოლიდურ საფუძველზე. რისკების მართვის ხარისხის გაზრდის მიზნით ბანკებმა უნდა:

1. აქტიურად გამოიყენონ საბანკო ზედამხედველობაზე ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციები, აგრეთვე საერთაშორისო სა-

ბანკო პრაქტიკაში გამოყენებული რისკების მართვის მონიტინგე მეთოდები, რომლებიც შეიცავს — ბანკისათვის არასასურველი მოვლენის დადგომის შემთხვევაში ეკონომიკურ—სტატისტიკური შეფასების გამოყენებას.

2. უზრუნველყოს რისკების მუდმივი მონიტორინგი, ეცადოს მი-აღწიოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, გამორიცხოვს არაკონტროლირებადი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო და სამეურნეო ოპერაციებ-ის ჩატარებასთან. კერძოდ, მართვისა და კონტროლის ახალი ტექ-ნოლოგიების სწრაფ გამოჩენასაც არ შეუძლია გაათანაბროს სა-ფინანსო და არასაფინანსო რისკების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც თან ახლავს საფინანსო ინოვაციების გამოჩენას.

აშკარაა, რომ თანამედროვე კონკურენციის რეალობაში აუც-ილებელია გამომუშავებული იქნას ახალი, უფრო სრულყოფილი მექანიზმები, რომელებიც უზრუნველყოფს საკრედიტო ორგანი-ზაციის კონკურენტუნარიანობასა და მისი სტრატეგიული პოზი-ციის ინოვაციურ მიმართულებას შორის ურთიერთკავშირს.

განსაკუთრებულ სირთულესთანაა დაკავშირებული იმის წარ-მოდგენა, თუ როგორი უნდა უნდა იყოს საკრედიტო ორგანიზაციის შინაგანი პოლიტიკა ნებისმიერი საფინანსო ინოვაციის გამოჩენი-სას, როგორ უნდა მივუდგეთ ბანკის ქვეგანყოფილებებს ახალ ბიზ-ნესთან მიმართებაში, როგორ და რამდენად მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული ახალი საოპერაციო საქმიანობა ან როგორ უნდა განხორციელდეს მართვა და კონტროლი. ამიტომ ინოვაცი-ური მენეჯმენტის დანერგვა სპეციალისტების მიერ ფასდება, რო-გორც აუცილებლობა საერთაშორისო კონკურენციის პირობებში.

დღევანდელი მომენტისათვის საკმარისად აქტუალურია ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა შიდა საბანკო რისკ—კონ-ტროლის სამსახურის ახალი მეთოდების დამუშავება, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ბანკის საოპერაციო საქმიანობაში ახლი კომპონენტების დანერგვის პროცესები.

მსოფლიო გამოცდილებაზე ორიენტირებით, განვითარების ძი-რითად მიმართულებებს შორის შეიძლება გამოიყოს საკრედიტო რისკების შემცირების აუცილებლობა, რომელიც წარმოიშობა სა-

ბანკო პრაქტიკაში ახალი საფინანსო ინსტრუმენტების გამოყენებით, ინოვაციურ დაკრედიტების პროცესის ორგანიზაციაზე ვადაბისა და დანახარჯების შემცირებით.

ამგვარად, წარმოების ინოვაციურ ფინანსირებასთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება გადაიჭრას სრულფასოვანი „ინოვაციური“ საკრედიტო მექანიზმის ფორმირებით და განვითარებით. ამ გზაზე პირველ ნაბიჯად უნდა გახდეს საინფორმაციო ტრანსფორმაცია არამატერიალური აქტივების სფეროში. აგრეთვე უნდა განვითარდეს ახალი საფინანსო ინსტიტუტი — „ინოვაციურად“ ორიენტირებული რისკ—მენეჯმენტი — ინფორმაციის გენერირების შესაძლებლობით, რაც აუცილებელია ინოვაციურ პორტფელზე ინოვაციური გადაწყვეტილებების მისაღებად.